ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ხელისმომწერთა საყურადღებოდ
პირველ ივნისიდგან გაზეთი
წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»
ღირს ოთხი |4| მანათი

რესტორანი და ბუფეტი
„განდეგილი“

— ოჰ, ჩემო ბარძიმ, როდის ჩამობრძანებულხართ სოფლიდამ?

— ეს ორი დღეა აქა ვარ, ლამის მშიერი მოვკვდე, კაცო; წავიდეთ,—სად გეგულება ისეთი ადგილი, რომ გრილოდეს და ერთი მადლიანი, მამა-პაპური პური ვჭამოთ.

— აგერ წავიდეთ მამა-დავითის მთაზე „განდეგილში“. გრილი და წმინდა ჰაერი, ქალაქს დასცქერი არწივივით ზემოდამ, სუკის მწვადები, ცივი ღვინო. ერთის სიტყვით, რა გინდა სული და გული, რომ იქ არ იყოს! ფასები ზომიერი, მსახურები ზრდილობიანი. (3—3)

მაქვს პატივი ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ
ვისაც ჰსურს შეისწავლოს აბრეშუმეულობისა, შალეულობისა, ნოხ-ხალიჩებისა და სხვა და სხვა გვარ მატერიების
ქსოვა ხელოსნურად, ფაბრიკულად,
(მატერიები კეთდება ჩვენებურ აქვე მოწეულ დამზადებულ ძაფებისაგან)
მიჰმართონ ახალს
ამხანაგობას მეაბრეშუმეობისა და მეფეიქრობისას
ქ. ქუთაისში
ამხანაგობის სახელოსნოში იმყოფება კარგი ოსტატი—ფეიქარი მოსკოვიდან, მიხეილ შუსტინ, რომელმაც მოაწყო აბრეშუმეულის ქსოვის საქმე ბათომის სახელოსნო სასწავლებელში.
გამგე ამხანაგობისა არტემ ვახტანგის ძე ანჯაფარიძე.
(10—9)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^{1}/_{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. შ. ბუგონოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. შ. ბუგონოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. $6^{1}/_{2}$—$7^{1}/_{2}$ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ზ თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს.ზ.თოფურია. (წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

13 ივნისი.

ბომბეი. შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისიის წევრს რანდს, როდესაც ის დაბრუნდა გუბერნატორის სახლიდგან, სადაც საიუბილეო ბანკეტი იყო გამართული, თოფი ესროლეს. რანდი მძიმეთაა დაჭრილი. სურსათის გამგე მოხელე დიერსტი მოჰკლეს. იმავე კომისიის კომისარი მძიმეთაა დაჭრილი. მკვლელობა გამოიწვია სასტიკმა ომებმა, რომელნიც შავი ჭირის გავრცელების წინააღმდეგ იქმნა მიღებული. სხვების აზრით, ამ მკვლელობებს კავშირი აქვთ იმ ფურცლებთან, რომელშიაც დედოფალი იუბილეის გამო, ცუდად იხსენიება. ამავე ფურცლებში დამონავებულ ინდოელთა დახმარებას შესთხოვენ. განათლებულ ქვეყანას და სწერია, რომ არ შეშვენის დღესასწაულები მაშინ, როდესაც მძვინვარებენ შავი ჭირი, შიმშილი და მიწის-ძვრა. ყველანი აღელვებულნი არიან. დამნაშავეთა დამჭერთ დიდი ჯილდო აქვთ აღთქმული.

ვინდზორი. ადმირალთა ლორდი და უცხო სახელმწიფოთა გემების ადმირალები მიწვეულ იქმნენ დარბაზში საუზმეზე. საუზმის შემდეგ, უცხო სახელმწიფოთა ადმირალებმა დედოფალი ინახულეს.

ახალი ამბავი

⁂ **თ. ივანე მაჩაბლის ავადმყოფობის გამო.** ჩვენი პატივცემული მოღვაწე თ. ივ. მაჩაბელი, სამწუხაროდ, კვლავ მძიმე ავადმყოფი შექმნა ნაწლევების ანთებით. მეტად დასუსტებულია; უკვე აზიარეს კიდეც. ექიმებს უნდათ ოპერაცია გაუკეთონ, მაგრამ ეშინიანთ, ვაი თუ ბანგს ვერ გაუძლოსო. გუშინ შუადღისასაც უნდოდათ ოპერაციის გაკეთება და დღეისათვის გადასდეს. ოპერაციის რეზულტატს მკითხველებს დაუყონებლივ ვაცნობებთ.

⁂ **„ქართლის ცხოვრების“ გამოცემის გამო.** უკვე მოხსენებული და გაგონილი აქვთ მკითხველებს, რომ პატივცემულს ზაქარია ჭიჭინაძეს განუზრახავს გამოცემა ფრიად ძვირფასის და საჭირო წიგნისა,—„ქართლის ცხოვრებისა“. გამომცემელმა ხელის-მოწერაც გამოაცხადა და, ვფიქრობთ, მალე აპირობს ბეჭდვის დაწყებასაც. ჩვენ-კი სრულიად ამის წინააღმდეგნი ვართ, ჩვენ ძმურის ერთგულობით და მეგობრულის პატივისცემით გულ-წრფელად ვურჩევთ ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს,—დაანებოს ამ საქმეს თავი, ვინაიდგან იგი საგანი აღემატება მისს გამომცემლობის ძალღონეს, როგორც ქონებრივს, უფრო მეტად ცოდნისა და შეგნებულობის მხრივ.

„ქართლის ცხოვრება“, „ვეფხვის ტყაოსანი“, „ვისრამიანი“ და სხვა კლასიკური თხზულებანი ჩვენთა მამა პაპათა ღვთაებრივ სასოებელ საგნად გახდომია, და სამართლიანადაც, ჩვენს საზოგადოებას და მათდამი მოპყრობა ზეზეურად, უცოდნელად —შეგინება იქნება ქართველთა „წმიდათა წმიდისა“ და არა სამსახური სამადლობელი და საპატიო.

ეს კარგადა აქვს ჩვენს საზოგადოებას შეგნებული. ამიტომ, ქართულ კლასიკურის ნაწარმოების გამოსაცემად აქამდის იკრიბებოდა ხოლმე მთელი კომისსია მცოდნე პირთა. ეს კომმისია კითხულობდა ხელთ-ნაწერს, ადარებდა ვარიანტებს, უკეთებდა შესაფერს სხოლიოებს და შენიშვნებს და ამ სახით ბეჭდავდა. აქამდისინ „ქართლის ცხოვრებას“-აც ასე ეპყრობოდნენ. აღბეჭდა იგი მეფე ვახტანგ VI რა სასოებით და რა სიფრთხილით,—ეს ხომ ყველამ ვიცით. მეფემ შეჰყარა მთელი კრებული მაშინდელ გასწავლულ და ბრძენ კაცთა და ამუშავა ხანგრძლივ იგი კრებული „ქართლის ცხოვრების“ აღსაბეჭდად.

წამ და უწუმ ჩვენნი მტერ-მოკეთენი გაიძახიან: „ქართლის ცხოვრება“ ზღაპარია ქართველებისა და არა ისტორია. უხეიროდ, უცოდნელად გამოცემული ,,ქარ. ცხ.“ უფრო განამტკიცებს ასეთს აზრს ჩვენის მტრებისას.

გარდა ამისა, საზოგადოებისთვის გამოცემულს ,,ქართ. ცხ.“ აუცილებლად დასჭირდება ვრცელი და პოპულიარულად დაწერილი წინასიტყვაობა და შიგა-და-შიგ შენიშვნები და სიტყვების ახსნაც, რათა მოუმზადებელმა ქართველმა მკითხველმა გზა გაირკვიოს და არ დაიკარგოს ისტორიულ ფაქტების ბურუსში.

ყველა ამის შეძლება პატივცემულს ზაქ. ჭიჭინაძეს არა აქვს,—ამაში, ვფიქრობთ, თვითონაც დაგვეთანხმება. ამიტომ, ვურჩევთ, კვლავაც. ნუ ინებებს შეურაცხყოფის მიყენებას ამ განძისადმი ყოველის ქართველისა. „ქარ. ცხ.“, „არსენას ლექსი“ როდია ან ყარამანიანი. ბევრი გვიცდია, ცოტაც მოვიცადოთ, ვიდრე მცოდნე პირთა კომისსია იკისრებდეს ამ სამძიმო საქმის შესრულებას. აქ უადგილოდ არ მიგვაჩნია, სრული გულის წყრომა და სამდურავი გამოვუცხადოთ მმართველობას ჩვენის „წერა-კითხვის საზოგადოებისას“. რას აკეთებს ეს მმართველობა, რას გაჩუმებულა? განა „ქართ. ცხოვრ“. გამოცემას მან უნდა გულგრილად უცქიროს? „დედა ენას“ ზაქ. გრიქუროვიც კარგად ჰბეჭდავდა. ეგლა გაგიხდიათ საქმეთ?.

საზოგადოებაში არის მოთხოვნილება „ქართლ. ცხოვრებისა“, ქართულ ლექსიკონებისა; ეს მოთხოვნილება იქამდის ძრიელია, რომ კერძო გამომცემელნი ფიქრობენ მისს დაკმაყოფილებას და „ჩვენი აკადემიის“ წევრნი-კი მითიც კმაყოფილდებიან, რომ ბოლოთასა სცემენ არწრუნისეულს ქარვასლაში და ბეჭდავენ „დედა-ენას“.

თუ თითონ გაუწყდათ შნო და სახსარი, ზნეობრივად მაინც დაეხმარნენ კერძო გამომცემლებს. აი, მაგალითებრ, იკისრონ რედაქცია ჭიჭინაძის გამოცემისა. შეადგინონ სარედაქციო კომისია, დააჯილდოვონ კიდეც მუშაკნი და დაეხმარნენ ქართველს საზოგადოებას, იქონიოს დარბაისლური გამოცემა „ქართლის ცხოვრებისა“ და არა კრებული კორექტურულის შეცდომებისა.

გარნა ქართულ საზოგადოებას ვურჩევთ, არ მოუმართონ ხელი არავის „ქარ. ცხ“ გამოცემაში, ვიდრე იგი მცოდნე პირთა რედაქციის ქვეშ არ გაივლის. ეს, ჩემო ბატონებო, საქვეყნო, საერო საქმეა; აქ ხელის მომართვა—საქმის წახდენაა, ბრიყული სამსახურია, ისეთი, როგორიც გაუწია დათვმა მეუდაბნოეს, საბა-სულხან ორბელიანის არაკში.

ამ საგანს ჩვენ კვლავაც დავუბრუნდებით და ვიხმართ ყოველგვარს ღონისძიებას, რომ ქართველთა ძვირფასი განძი შეგინებულ არ იქმნას უვიცის გამომცემლის მიერ.

„ახირებული პრეტენზიაა“ სწორედ ზოგიერთის მხრივ,—ხელს ჰკიდებენ იმას, რაც მათი საქმე არ არის. არც ის არის ნაკლებად „ახირებული უპრეტენზიობა“, რომ „ჩვენი აკადემიის“ მოღვაწეობა ბ. ზაქარია გრიქუროვის იდეალებს ვერ გასცილებია.

⁂ **ქალაქის არჩევანების გამო.** ბ. ტფილისის გუბერნატორს ქალაქის გამგეობისაგან მოუთხოვნია იმ ამომრჩეველთა სრული სია, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს 18 მაისისა და 1 ივნისის არჩევანებზე და რომ ამ სიებში აღნიშნულ იქმნეს —ვინ ისარგებლა ორი ხმით. ეს ცნობები გამგეობამ საჩქაროდ უნდა წარუდგინოს ბ. გუბერნატორს.

⁂ **იმავე არჩევანების გამო.** 1893 წლის ხმოსნების პირველი არჩევანები მთავრობამ უკანონოდ იცნო და დაარღვია იმ მიზეზით, რომ თვლის დროს 15 კენჭით ზოგს ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თში მეტი გამოდიოდა და ზოგში ნაკლები. ამ წლის არჩევანებზე-კი ასეთი განსხვავება 31 კენჭით იყო: ეხლა-ხან აღმოჩნდა, რომ არჩევანებზე სულ 1060 ამომრჩეველი (ე. ი. კენჭი) იღებდა მონაწილეობას, ზოგიერთებს—1072 კენჭი მოუვიდათ, ე. ი. 12 კენჭით მეტი და ზოგიერთებს-კი 1041 კენჭი. აქედამ ცხადათა სჩანს, რომ ამომრჩეველნი ინახავდნენ ხოლმე კენჭებს და თავის კანდიდატებს აძლევდნენ მეტს, მაშინ, როდესაც სხვებს აკლდებოდათ.

⁂ **ლექციები აბრეშუმის მოყვანისა და ფუტკრის მოვლის შესახებ.** დღეიდამ ერთის თვის ვადით ტფილისის აბრეშუმის მომყვან სადგურზე მუშტაიდში გაიმართება ლექციები აბრეშუმის მოყვანისა და ფუტკრის მოვლის შესახებ სოფლის მასწავლებელთათვის. ჯერ-ჯერობით ოთხნი მოვიდნენ დაბა სოფლებიდამ მსმენელნი. მსურველთ ბინა უსასყიდლოდ დაეთმობათ ტფილ. სამოსწავლო ინსტიტუტში.

⁂ **ქალაქის განათების გამო.** ბ. ტფილისის გუბერნატორს წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის, რომ დაუყონებლივ იქმნას ზომები მიღებული ქალაქის ქუჩა-მოედნების განათების გასაუმჯობესებლად და რომ ამ მხრით განსაკუთრებითი ყურადღება ექმნეს მიქცეული მიხაილოვის, ბულვარის და ელისაბედის ქუჩებს.

⁂ **ტფილისის სახაზინო თეატრის გაცემა საზამთროდ.** ბ. კავკასიის მთავარ-მართებელს დაუმტკიცებია სახაზინო თეატრის დირექტორის ვ. ა. ოპოჩინინის მოხსენება იმის შესახებ, რომ წელს საზამთროდ სახაზინო თეატრი დაეთმოს საოპერო წარმოდგენების გასამართავად ვ. ლ. ფორკატტის.

⁂ **ტფილისის დედათა II გიმნაზიაში კურს დამთავრებულნი.** წელს სულ 32 ქალს დაუმთავრებია სწავლა ტფილისის დედათა II გიმნაზიაში და ამათგან ქართველები სულ სამნი არიან: დავიდოვისა ელენე, ისარლიშვილისა დარია და პაატაშვილისა სოფიო.

⁂ **მღვდლის სამსახურში სიყალბე.** 27 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს სომეხ-გრიგორიანთა დეკანოზის ხაჩატურ ტერ-ხაჩატურიანცის საქმეს, რომელსაც ჰბრალდება სამსახურში სიყალბე.

⁂ **კატორღიდამ გამოქცეული.** კავკასიის სამხედრო სამსაჯულოს განაჩენით ლეონ ამინოვი გაგზავნილი იყო 25 წლით კუნძულს სახალინზე; ეგ ვაჟბატონი ორჯელ გამოქცეულა იქიდამ და ეხლაც მეტეხის ციხეშია დამწყვდეული. ტფილისის ოლქის სასამართლო 11 ივლისს განიხილავს ამ საქმეს.

⁂ **ტფილისის ვაჟთა I გიმნაზიაში კურს-დამთავრებულის ქართველის დაჯილდოვება.** გუშინ, ჩვენს გაზეთში დასტამბული გვქონდა იმ ახალგაზდა ქართველების სია, რომელთაც წელს კურსი დაასრულეს ტფილისის I გიმნაზიაში. ეხლა ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს ფრიად სასიამოვნო ამბავს, რომ ერთი მათგანი, დავ. უთნელაშვილვი, დააჯილდოვეს სამაგალითო სწავლისათვის ოქროს მედალით და წარდგენილ იქმნა კავკასიის სტიპენდიაზე.

⁂ **თავად-აზნაურთა საჩივარი.** თ. გ. ი. თარხან-მოურავს და 11 სხვა აზნაურს განუსაჩივრებია ბ. ტფილისის გუბერნატორის წინაშე თავად-აზნაურთა უკანასკნელის კრების განაჩენები.

⁂ **ტფილისის საბაღოსნო სკოლის და აბრეშუმის მოყვანის სადგურის გამო.** ამ მოკლე ხანში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რჩევამ უნდა განიხილოს კითხვა საბაღოსნო სკოლისა და აბრეშუმის მომყვან სადგურის ტიპის შეცვლის შესახებ.

⁂ **უფასო სამკითხველო და წიგნთ-საცავი.** შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ სოფ. ალში (გორის მაზრა) დაარსებულ იქმნას უფასო სამკითხველო და წიგნთ საცავი.

⁂ **რამდენჯერ გაჩენილა ცეცხლი ტფილისში 1896 წელს.** სულ სამოცდა სამი შემთხვევა ყოფილა ტფილისში ცეცხლის გაჩენის 1896 წლის განმავლობაში; დაწვარა სულ 49 სახლი და ზარალი მომხდარა ამით 103,130 მანათი; გაცილებით მეტჯერ გაჩენილა ცეცხლი ზამთრის თვეებში (27-ჯერ,) ხოლო ზაფხულის თვეებში ნაკლებად გაჩენილა ცეცხლი (10-ჯერ); ბუხრებისა და მილების უვარგისობის გამო 42-ჯერ გაჩენილა ცეცხლი, ცეცხლთან გაუფრთხილებლობის გამო—16 ჯერ და სხვა და სხვა მიზეზების გამო—4-ჯერ.

⁂ **შემოწირულება.** ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ჩემი უღრმესი და უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო პატივცემულს ბ-ნს გიორგი ზაქარიას ძე მაისურაძეს, რომელმაც შემოსწირა იაგორა ტეტუნაშვილის სამკითხველოს ცამეტი მანათის სხვა-და-სხვა გვარი წიგნები.

⁂ **ქ. ბათომი. მუშათა არტელის გამო.** ბატონო რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის მე-217-№ ში ამოვიკითხე წერილი ბათომიდგან, ბათომის არტელის შესახებ, იმავე არტელის წევრის სპირიდონ ზაქარიასძე ხვიჩიასი. ბ. ხვიჩია საყვედურს აცხადებს ანგარიშების გამო და ემუქრება „სტაროსტა“ ნიკო ცომაიას: თუ ნებით არ დაგვაკმაყოფილებს, იძულებული ვიქნებით, საქმე სხვანაირად წავიყვანოთო. მე, როგორც სარევიზიო კომისიის წევრი არტელისა, საჭიროდ ვრაცხ, პასუხი მივსცე ბ. სპირიდონ ხვიჩიას, რადგან ბ. ხვიჩიას საყვედური მეც მეხება.

5 სექტემბერს, 1889 წელს, დამტკიცდა წესდება ჩვენის არტელისა. ჩვენ ისე გვეგონა, რომ მთელის ბათომის გემების დაცლა-დატვირთვა ჩვენს ხელში იქნებოდა. რადგანაც ჩვენ შორის იმისთანა არავინ ერია, რომ გასძღოლოდა ამ საქმეს, ჩვენ მოვიწვიეთ მმართველად ბატონი თომა ჩიკვაიძე და დავიწყეთ მოქმედება. თუმცა ჩვენ საზღვარ-გარეთელ იჯარადრებზედ ბევრად იაფად ვმუშაობდით, მაგრამ იგივე საზღვარ-გარეთიდგან მოსულ გემების აგენტენტებმა ჩვენ მუშაობა არ მოგვცეს და ჩვენს თხოვნაზე პასუხად გაძლევდნენ; ჩვენ მაგ სამუშაოს თქვენ ვერ მოგცემთ, გინდ ნახევრის ფასად რომ გაგვიკეთოთო, რადგანაც ჩვენი კაცები გვყავს, ესე იგი, ჩვენი ქვეყნისაო. ამნაირ პასუხს იმისთვის იძლეოდნენ, რომ ჩვენს წესდებას არ ჰქონდა და არცა აქვს უპირატესობა სხვა იჯარადრებისა და მუშების შორის იმავე 2 § ის ძალით წესდებისა. ჩვენ ხომ ძალით ვერ წავართმევდით! ფასის დაკლებამ არ გვიშველა და ამის გამო ვიყავით გულხელ-დაკრებილი. აი სწორედ ეს ზემოხსენებული ძალა ხნავდა იმ აღმართს, სადაც ვერც თომა ჩიკვაიძე და ვერც გიორგი წერეთელი ფონს ვერ გავიდნენ. როგორათაც ხვიჩია სწერს, თვით სხვა საგანზე არ წამომდგარა აღმართის მხვნელი ძალა, რომელსაც ხელი უნდა შაეშალა ბ. გიორგი წერეთლისათვის. ბათომში არავითარი ხმა არ ყოფილა ჩიკვაიძის ადვოკატობისა და არც იმ ხმების გამო წასულა ჩვენგან; იგი შევიდა ჩვენს მდგომარეობაში, და, რაკი ცდა არ გადიოდა, თითონვე ისურვა წასვლა და ამით წელიწადში 1500 მანათის ხარჯს გადაგვარჩინა, რომელიც უნდა გვეძლია მისთვის ჯამაგირად, პირობის ძალით, რომელიც იყო დაწერილი სამის წლის ვადით, თუ დავითხოვდით, 5000 მანათი ჯარიმაც უნდა მიგვეცა. რა უჭირდა თომა ჩიკვაიძეს, ესარგებლებინა თვისის უფლებით! თუ ხვიჩია იმასა ბძანებს, თომა ჩიკვაიძეს ჯამაგირი არ უნდა წაეღოვო, ეს-კი სინიდისის გარეშე იქნებოდა, რადგანაც თომა ჩიკვაიძეს ჩვენგან იმდენი არაფერი წაუღია, რამდენადაც ჩვენ იგი საკუთარ საქმეებიდგან მოვაცდინეთ და ქუთაისიდგან ბათომში გადმოვასახლეთ.

რაც შეეხება გიორგი წერეთლის მოწვევას, იმაში შევცდით, რადგანაც უნდა გვეგრძნო, სადაც ჩიკვაიძე ვერას გახდა, იქ გიორგი წერეთელი თუღლს ვერ დაგვადგამდა, და, ბოლოს, როცა შემოსავალი არაფერი იყო და ხარჯები არ კლებულობდა, გიორგი წერეთელსაც შერცხვა ტყუ-

ქართული ლექსიკონის შედგენის გამო.

ბ-ნო რედაქტორო! თქვენმა თანამშრომელმა პატივცემულმა თ. სახოკიამ „ცნობის ფურცლის“ 223 №-ში დაბეჭდა საყურადღებო წერილი „ქართულის ლექსიკონის შედგენის გამო“. განმარტავს-რა ავტორი ლექსიკონის შედგენისა და გამოცემის სიძნელეს, ბოლოს დასძენს, რომ ეს საქმე უნდა ითავოსო „წერა-კითხვის საზოგადოებამ“. არ შეიძლება არ თანავუგრძნოთ ამ აზრს, მით უმეტეს, რომ ამ ბოლოს დროს ჩვენში გამრავლდნენ ამისთანა „მუშაკნი“, რომელნიც ხელს ჰკიდებენ მათთვის დაუძლეველს ტვირთს, იმისთანა წმიდათა-წმიდას, რომელსაც, ჩვენის აზრით, არ უნდა შეეხოს პირველ შეხვედრილ ვიგინდარას ხელი... თუ ვინ და როგორ უნდა გამოსცეს ქართული ლექსიკონი, ამის შესახებ, ნება მიბოძეთ, აქვე დავურთო ჩემი წერილი, დაბეჭდილი „ივერიაში“ 1895 წ. (№ 206) და აგრეთვე ჩემ მიერ კაკ-ელისენში შეკრებილ სიტყვების წინასიტყვაობაში (იხ. ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი).

ქართველები და ქართული ენა.

ყველანი ამას ვამბობთ, რომ ქართული ენა მეტად მდიდარი ენააო, მდიდარიაო არა-თუ მარტო თავისის საგრამატიკო ფორმებით, არამედ ლექსთა სიმრავლითაც. ეს მართალი თქმაა. ხოლო, ჩვენდა სამწუხაროდ, თითქმის არავინ არა ზრუნავს მშობლიური ენა საფუძვლიანად შეისწავლოს და გვაცნობოს მისი მშვენიერება, თვალ-წინ გადაგვიშალოს ის საუნჯე მეტყველებისა, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში დაიმუშავა და შეიძინა ქართველთა გონებამ და ჭკუამ. უეჭველია, ასეთი შრომა თვალსაჩინო სამსახურს გაუწევს ქართველთა წარმატებისა და წინსვლის საქმეს და თვით მშრომელსაც საპატიო ადგილს მოუპოვებს საქართველოს მოღვაწეთა შორის. რომელიმე ენის სულისა და გულის შემეცნება დიდი ღვაწლია, ვინაიდგან ამ შემეცნებისათვის საჭიროა ხანგრძლივი და მუყაითი შრომა, ფიქრი, განუწყვეტელი ჩხრეკა-ძიება, ბეჯითი შესწავლა ძველის ხელთ-ნაწერებისა, შედარება და შეთანხმება სხვა-და-სხვა კუთხის სიტყვებისა და ამავე კუთხეებში დაშთენილ სიტყვა-ფრაზების გამომზევება და სხვა.

არ არის ისეთი ენა, რომ მას, თვისის წინმსვლელობის დროს, მრავალი სიტყვა არ გაჰქვავებოდეს და ამ გაქვავებულ-გაუქმებულ სიტყვათა მაგიერ სხვა ახალი (ხშირად უცხო ენის) სიტყვა არ შემოელოს ხმარებაში. ხოლო შემჩნეულია, რომ მრავალი სიტყვა, რომელიც შემდეგ თაობას აღარ ესმის, წინანდელ თაობისათვის ყველა ესეთი სიტყვები გასაგები ყოფილა და მაშინ არც ერთი სიტყვა, აღმნიშვნელი რომელიმე ცნებისა, გაუგებარი და ანუ გაქვავებული არ ყოფილა. თუ ეს ითქმის საზოგადოდ რომელიმე ენის შესახებ, მით უმეტეს ითქმის იმისთანა ენის შესახებაც, როგორიც ქართული ენაა, რომელსაც აქვს თავისი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2500 წლის ისტორია.

სიტყვების გაქვავება და კილო-კავების გაჩენა დამოკიდებულია მრავალ გარემოებებზედ, რომელთაგან უღრესნი არიან: ერთისა და იმავე ტომ-მოდგმის წარმომადგენელთა შორის მისვლა-მოსვლის სიძნელე და მწერლობის უქონლობა. მისვლა-მოსვლის სიძნელე დამოკიდებულია გვარ-ტომის ადგილს-სამყოფელოს გეოგრაფიულ შენობაზედ: მაგარი და მეუვალი ხევები, ღელეები, დიდი მთები, უგზოობა, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სხ. დიდად აბრკოლებენ ცივილიზაცია-კულტურის მოფენას ქვეყანაში და აფერხებენ აგრეთვე ენის ძლევა-მოსილობით გავრცელებასაც ერთისა და იმავე ერის მამულ-დედულში. ამისთანა ყოფაში სიტყვების გაქვავება, ენის კილო-კავებად დაყოფა, მით უფრო აუცილებელია, თუ ერს ვერ შეუქმნია თავისი აზრისა, ფიქრისა და მისწრაფების გამოსახატველი ნიშნები—ანბანი და ვერ დაუარსებია მწერლობა მშობლიურს ენაზე. ამ ყოფაში არის დღეს ლეკური ენა, რომელიც მისვლა-მოსვლის სიძნელისა და მწერლობის უქონლობისა გამო გადაშლილა მრავალ შტო-კილო-კავებად და ელის დაღისტნის ახალს ჰომიროსს ანუ ჰეროდოტეს, რომ ეს ლეკური კილო-კავები ისევ შეიკრას, დაზავდეს, შეილიოს და აღჭაფდეს საერთო ლეკურ ენის წყაროდ.

ენათა მეცნიერები იმასაც ამბობენ, რომ სიმრავლე გაქვავებულ სიტყვათა და კილო-კავებისა არის დიდი სიმდიდრე ამა თუ იმ საერთო ენისაო: როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისი ნაკადულების შემწეობით, ისე ენაც, თავისის წინ სვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თვისის კილო-კავებიდამო; უამისოდ იგი დიდ ძინძილს ვეღარ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გალატაკდება და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშრობში მიმდინარე მდინარეს, რომელიც, სათავეებში წყარო-ნაკადულების სიცოტავისა გამო, ზღვამდის ვეღარ უწევსო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მამა-პაპას ჯერ ისევ ქრისტეს წინა დროსვე ჰქონია წერის ნიშნები და მერე დაუარსებია თავისს ენაზედ უმდიდრესი ლიტერატურა, მაინც, ვიმეორებთ, მიუხედავად ამისა, ჩვენში დაშთენილია მრავალი კუთხე, საცა ამირანისებურად და ხელ-უხლებად მაგრობს აუარებელი სიმდიდრე ჩვენის ენისა, აუარებელი საუნჯე, შეძენილი ჩვენთა ღვაწლით შემოსილ მამა-პაპათა მიერ. ამგვარი კუთხეებია ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, მთიულეთი, რაჭა, სვანეთი, სამეგრელო, წებელდა, აფხაზეთი, აჭარა, ლაზისტანი, სამცხე, ქიზიყი და კაკ-ელისენ-ჭარი და არა თუ ამ კუთხეებში, არამედ თვით საკუთარს კახეთსა, ქართლსა და იმერეთშიაც კაცი მონახავს მრავალს სიტყვა-ფრაზას, რომელიც ადგილობრივ იხმარება და საერთოდ-კი აღარა. საჭიროა ეს აუარებელი მასალა შემოვკრიბოთ, შევისწავლოთ, ავნუსხოთ და ეს შრომა რომ შესრულდება, მაშინ ჩვენი, ისეც მდიდარი, ლექსიკონი ერთი-ორად გადიდდება, ხოლო ენა-მზეობაც ჩვენის ენისა იმატებს, და უფრო გაბრწყინდება და შარავანდოსანი შეიქნება.

როგორ უნდა შესრულდეს და ვინ უნდა ითავოს ეს დიდი და დიადი საქმე?

როგორც ვიცით, ჩუბინაშვილის ლექსიკონი დღეს წერა-კითხვის საზოგადოების კუთვნილებაა და თაოსნობაც ამ საქმეში უნდა ეკუთვნოდეს ამ საზოგადოებას. იტყვით, წერა-კითხვის საზოგადოებას არ ექნება არც შეძლება და არც მატერიალური ძალა გაუძლვეს ამ ძნელად შესასრულებელ საქმესაო. მართალია, არ ექნება არც ძალა და არც შეძლება, რასაკვირველია, თუ დავივიწყებთ, რომ ამ საქველ-მოქმედო საფუძველზედ დამყარებულ საზოგადოებას დამხმარებელნიც ქველ-მომქმედნი უნდა ჰყავდეს. განა ცოტანი არიან საქართველოს კუთხეებში განათლებულნი და მამულისათვის თავ-განწირულნი პირნი, რომელთაც შეუძლიანთ შეიძინონ ჩუბინაშვილის ლექსიკონი და მასში ჩასწერონ ის, რაც დაშთენილა მათს სამშობლოში და საზოგადო ლექსიკონში კი არ არის! ყველგან საქართველოში გვევულებიან მრავალნი, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმეს გული დაუდონ და ნება-ნება, ახალ-ახალ სიტყვა-ფრაზების მოგონებისა და-გვარად ჩასწერონ თავიანთებური სიტყვები ცალკე რვეულებში და მერე გამოუგზავნონ წერა-

ილად თვეში 125 მანეთის ალებისა იქ. სადაც 125 კაპიკის საქმე არ კეთდებოდა.

ჩვენი საქმე უკან-უკან წავიდა და ზარალიც მოჰყვა! ვისაც რისიც შნო გვქონდა, ვეცადეთ კერძო საქმეების შოვნას და არტელის საქმე მივანდვეთ ნიკო ცომაიას და რამდენსამე მეარტელეს, რომლებიც პურის ფულს ძლივს შოულობენ. აი, ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ორმოცი კაციდგან ჩვიდმეტი კაცი იქნა საჭიროთ. თუ კარგად მიდიოდა საქმე, სად წავიდნენ დანარჩენნი მეარტელეები?

შესახებ მეძმარიაშვილისა, რომელსაც ბ-ნი ხვიჩია აბრალებს, მოხერხებით 1000 მანათზე მეტი წაიღოვო. მეძმარიაშვილს არტელისა არასფერი დასდებია და თუ სხვისი რამე აქვს, იმას პატრონმა თვით მოსთხოვოს, მხოლოდ იგი რომ მწერლათ გვყავდა კანტორაში და თვეში ხუთ თუმანს რომ ვაძლევდით, ეგეც ჩვენი გამოუცდელობა იყო, რადგანაც საწერი და ჩასაწერი არასფერი იყო და ქირას-კი ვაძლევდით: ბოლოს კი მივხვდით ყველა ჩვენს შეცდომებს, მაგრამ გვიან-ღა დარჩა და 1893 წელსა მაისის 2-ში დავნიშნეთ ყრილობა და გავათავისუფლეთ მწერლობიდგან მეძმარიაშვილი. და აი იმ დღის აქეთ მწერლის მოვალეობას მევასრულებ, თვით ამის დამწერი, უსასყიდლოთ სადაც თვეში ხუთ თუმანს ვაძლევდით, ეხლა ამაში ხუთი კაპიკი არ გაგვდის. მე თუმცა კვირა-დღეობით მაქვს თავისუფლობა კერძო საქმიდგან, მაგრამ, ჩვენს მდგომარეობას რომ ვუყურებ, კვირა დღის თავისუფლებას ამავე საქმეს ვწირავ და ყოველსავე საწერ და ჩასაწერ ანგარიშებს კვირაობით ვასრულებ.

ამას გარდა, ბ-ნი ხვიჩია ტყუილად ამადლის ნიკო ცომაიას სტაროსტობას, რადგანაც ნიკო ცომაია არას დროს არ თხოულობდა და არც დღეს თხოულობს სტაროსტობას; ერთი ყრილობა არ ყოფილა ისეთი, რომ ნიკო ცომაიას განთავისუფლება არ ეთხოვოს, მაგრამ საზოგადოება არ უშვებს და ისევ იმას ირჩევს სტაროსტათ. მართლაც რომ მერვე წელიწადია, რაც სტაროსტათ არის. ამაში ვეთანხმები ბ-ნს ხვიჩიას, მაგრამ ეს-კი საკვირველია, ბ-ნი ხვიჩია რომ რვა წლის ანგარიშს სთხოვს ცომაიას! რაც ბათუმიდან წასულა ბ-ნი ხვიჩია, მეექვსე წელიწადია. ორი წელიწადი თითონ მან უყურა ანგარიშებს და როცა აქედან წავიდა, ჩვენ რამდენჯერმე ყრილობა გვქონდა და მოვიწვიეთ კიდეც ბ-ნი ხვიჩია, მაგრამ იგი არ მოსულა და თავისს მაგიერ „არტელში“ საქმის მართვა მიანდო ჩვენსავე ამხანაგს ბ. ვასო კაკაბაძეს. მისი ვექილობის ქაღალდი № 358 29 მაისიდან 1894 წლიდან საქმეებშია ჩაკერებული. მის შემდეგ სულ ვასო კაკაბაძე კისრულობს ყოველისფერს, რაც-კი მოითხოვება ხვიჩიასაგან და არტელის ანგარიშებიც მთლად მოსმენილი აქვს და თვალით ნახული.

მაშასადამე, რა ძალა ადგა ნიკო ცომაიას, რომ აფხაზეთის ტყეში ეძებნა სპირიდონ ხვიჩია და იქ გზავნა ანგარიშები. მართალია, გაზეთში გამოცხადება რიგიანია, მაგრამ ხალხს პურის ფული ვერ უშოვია, გაზეთში გამოცხადების ფული სადღა არის! მართალია, საზარალო საქმე არც ჩვენთვის არის საჭირო, მაგრამ უმაღლეს მთავრობის წინაშე გვაქვს ნათხოვნი წესდების გამოცვლა, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა გადაწყდეს, და უკეთუ ჩვენი თხოვნა შეწყნარებულ არ იქმნა, იმ შემთხვევაში ერთს დღესაც არ გავაჩერებთ, ისე გავაუქმებთ მოქმედებას. მხოლოდ ეს ერთი ზემოხსენებული საგანი გვათმენინებს ყოველისფერს გაჭირვებას.

ბ-ნი ხვიჩია სწერს, ორას-ორასი მანათი შევიტანეთო. მართალია, ზოგმა სამასიც შევიტანეთ, მაგრამ ხვიჩიამ 49 მანათი შემოიტანა ისე, რომ სათადარიგო თანხას ხუთ თუმანს, რომელიც ინახება ბანკში მის სახელზე, ერთი მანათი ჩვენი, ამხანაგების, ფული ადევს. 49 მანათი შემოუტანია, ორასი მანათის თანხას იკეთებს. თუ სამასმანათიანებს არასფერი გაგვიტანია სარგებლობა, 49 მანათიანი ვინღაა, რომ იმან ითხოვოს! მხოლოდ 49 მანათი აქვს შემოტანილი, დანარჩენი-კი დღესაც მასზე ითვლება ვალად. კარგი საქმეა სწორედ, თუ ვალიც ნაღდათ დაგვათვალა ბ. ხვიჩიამ...

რაც შეეხება დანარჩენს ანგარიშებს, „არტელში“ ყოველისფერი რიგიანად იწერება და გამზადებულია; ასე რომ ყოველ დროში შეუძლია წევრი შევიდეს და გაშინჯოს, სადაც დამტკიცდება ყოველივე სიმართლე, რაზედაც გული სტკივა ხვიჩიას. ამასთანავე, ჩვენც ვიწვევთ ბატონს ხვიჩიას, რა ზომითაც ენებოს, იმ ზომით მოგვთხოვოს ანგარიში. თუმცა „არტელის“ მოქმედება ღარიბია, მაგრამ სინიდისი და სახელი მას არ გასტეხია. როდესაც მობრძანდება ბ. ხვიჩია და ანგარიშებს ნახამს, მკითხველებს ვაცნობებთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით, თუ ვინ იქნება მტყუანი.

სარევიზიო კომისიის წევრი ბათუმის არტელისა თემურაზ ივანეს ძე თოფურია.

⁂ **სოფ. დუმაცხოვი.** (ქართლი). **ხალხის გასაოცარი ჩვეულება.** სოფელს დუმაცხოვში ოც-და-ათი კომლი მცხოვრებელია, რომელთა შორის ოთხი კომლი თავადია... დუმაცხოვი არის შტატი და ყოველ დღესასწაულ დღეებში მისი ზედ-მიწერილი სოფლელები იკრიბებიან ამ სოფლის ეკკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენათ. დუმაცხოველებს ჩვეულებად აქვსთ აღდგომა დღეს, რაც უნდა კორიანტელი და სიცივე იყოს, წირვის მოსასმენად ქალებს არ შეუშვებენ ეკკლესიაში, თუნდა, რომ კიდევაც სიცივით სულ დაწყდნენ. ამბობენ: თუ შევუშვით, ჩვენს სოფელში სეტყვა მოვა და ჭირნახულვენახები სულ წაგვიხდებაო. ამ კუთხის ქართველ ხალხს-კი ჩვეულებად აქვთ, აღდგომა დღეს თუ წირვა არ მოისმინეს და სებისკვერი არ აიღეს, ხორცი არ ეჭმევათ, ამიტომ ქალებიც არავინ აკლდება, სულ გარედ დგანან და სებისკვერსაც გარედ იღებენ. ამ მიზეზით ბევრი უმსხვერპლნია მქვალს. ეს ჩვეულება მამა-პაპიდგან სდებიათ და ახლაც მტკიცედ და მკვიდრათ ასრულებენ ქართულ ანდაზას: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. თუ უცხო ქალმა, რომელმაც აქაურის ჩვეულებისა არა იცის-რა, ამ სოფლის ეკკლესიაში წირვის მოსმენა მოიწადინა, ის დღე თქვენს მტერს დაადგეს, რაც დღე მაშინ იმ ქალს დაადგება! თუნდ რომ თავადის განათლებული ქალიც იყოს, ვაი იმ საცოდავის ბრალი, დიდ შეურაცხყოფას მიაყენებენ იქ შესვლისათვის და სულ დაამწარებენ ბრწყინვალე დღეებს! ყველა მკითხველი უკვე მიხვდებით, თუ ვის შეუძლიან ამ უგუნურ ჩვეულების მოსპობა, მაგრამ, გასაკვირველია ღმერთმანი, ვის უტევებს სახსოვრად ამ ჩვეულებას?!. მე, როგორც ამ სოფლის მედავითნე, მოვალედ ვრაცხდი ჩემს თავს, ეს ჩვეულება მომესპო და შემდეგ წირვის გამოსვლისა, როდესაც ყველა მამრმა სებისკვერი აიღო და გარედ გამოვიდნენ, მღვდელიც თანხმა გახდა, რომ სებისკვერი გარედ აღარ გამოეტანა ქალებისათვის და ეკკლესიაში გაჩერდა. შემოვიყვანე ძალა-უნებურად ყველა მდედრნი, აიღეს სებისკვერი და სისწრაფით უკანვე ჩქარა ბრუნდებოდნენ და თან კაცების შიშით კანკალებდნენ, არ გავილანძღოთო. მართლაც, გალანძღვა არ დაჰკლებიათ, მაგრამ ლანძღვას ვინღა ჩიოდა, რომ ცოცხლები გადარჩნენ... როგორც იყო, ჩვენ, ეკკლესიის კრებულმა დავამშვიდეთ დუმაცხოვლები იმ პირობით, რომ თქვენს სოფელში სეტყვა არ მოვაო; მაგრამ დალოცვილმა ბუნებამ, თითქოს ჩვენი ჯიბრი გახდაო, აღარ დაგვინდო და წარამარა წამოუშენს ხოლმე როგორც სხვაგან, აგრეთვე დუმაცხოვშიაც სეტყვას და როგორ სეტყვას ახლა ის უნდა ბრძანოთ და!! თვითონ მოხუცებულნი ამბობენ, მომსწრე არა ვართ ამისთანა მსხვილის სეტყვისაო! თითქმის ვარიას კვერცხის ოდენებს წამოუშენს ხოლმე და რასაც ხვდება, სულ დედამიწასთან ასწორებს. ახლა თქვენ ისა ბძანეთ, თუ რა წყევლა-კრულვა მადგია, თურმე, დუმახცოველებისაგან მე, მედავითნეს, რადგან ქალები მე შევუშვი ეკკლესიაში და, ამათ ჭკუაში, იმისთვის ისეტყვება ჩქარ-ჩქარა დუმაცხოვი; მართალია, პირდაპირ საყვედურის მეტს, ცუდს ვერაფერს მეუბნებიან, მაგრამ ზურგთ უკან, თურმე, რამდენს სეტყვასაც გადმოისვრის ჩვენი ძვირფასი ბუნება, იმდენს უწმაწურ ლანძღვას მითვლიან, სწორედ, საცინელი ჩვეულებაა, რომ სამწუხარო არ იყოს. ძალიან გასაკვირველია ეს ჩვეულება, საიდგან არის

კითხვის საზოგადოებას, რომელიც ისდამი გამოგზავნილ მასალას შესაფერ ადგილს მიუჩენს ლექსიკონის დასტამბვის დროს. თუ რა ფასი აქვს მგვარ შრომას, ეს სჩანს თუნდა იქიდამ, რომ რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ პროვინციალურ სიტყვების ამწერლებს ყოველ ახალ სიტყვის აღმოჩენისათვის შეაძლია ორ-ორი შაური! მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ—თუნდაც წერა-კითხვის საზოგადოებას შეძლებაც ჰქონდეს,—აღნიშნული ღვაწლი ისეთი წმინდაა, რომ ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა უსასყიდლოდ დაეხმაროს სამშობლო სიტყვიერებას და მიჰბაძოს ფუტკარს, რომელიც ყვავილების სურნელებას თაფლად აქცევს და მერე თავისს ნაყოფით თითონაც სარგებლობს, კაცსაც უტკბარუნებს პირს და ღმერთსაც სანთელს უნთებს...

კერძოდ მით უფრო საჭიროა გაფანტულ სიტყვათა შემოკრება, რომ დღეს მეტად გამრავლდა რიცხვი გადაგვარებულთა და გარეწართა. ეს წინდაუხედავნი, იპოვიან-რა თავის კუთხეში ასიოდ ადგილობრივ სიტყვას, რომელიც საერთო ლექსიკონში არ არის, ყვირიან: „არიქათ! აი სად ყოფილა ახალი ენაო! ჩვენ, თურმე სხვა ენა გვქონიაო“ და სხ.

მ. ჯანაშვილი.

◆ ◆

წიგნების გავრცელება.

> თუ გული გულობს, ქადა
> ორი ხელით იჭმევა.
>
> ხალხ. ანდაზა.

ქართულის წიგნების გავრცელების საქმე, წარსულთან შედარებით, ამ ბოლო ხანებში, უკეთესს კალაპოტში ჩადგა, მაგრამ მაინც, როგორც სასურველია, საიმისოდ ვერა ვრცელდება, ხალხში არ იფინება. დამაბრკოლებელი მიზეზი უნდა ვეძიოთ თვით ამგვარ საქმის დამწყობთა ხელში და ჩვენის რედაქციების დაუდევნელობაში.

დიდს რასმე ნიშნავს მკითხველის თვალში, როდესაც ახლად გამოცემულ წიგნზე გაზეთი იტყვის თავისს აზრს; წრფელი კრიტიკის თვალით შეხედავს, დასდებს პირუთვნელო მსჯავრს, ამასთანავე, წარუდგენს მკითხველ საზოგადოებას მოკლე შინაარს: მოსაწონია—მოიწონოს, არ არის მოსაწონი—გაჰკიცხოს, რომ მკითხველმა საზოგადოებამ ტყუილუბრალოდ ფული და დრო არ დაჰკარგოს მის შესაძენ-საკითხავად. შეიძლება, რომელსამე წიგნს რაიმე ნაკლულოვანება ჰქონდეს (იშვიათად რომ უნაკლონი ვიყვნეთ), მაგრამ ამის გულისთვის მთელი წიგნი-კი არ უნდა გაიკიცხოს, არამედ ეჩვენოს მკითხველ საზოგადოებას მისი ღირსეული და უღირსი მხარეები. ამ გვარად დიდს სამსახურს უწევს ჟურნალ-გაზეთი მკითხველ საზოგადოებას და წიგნების გავრცელების საქმესაც.

სულს ქვეშ უნდა ითქვას, რომ ჩვენი რედაქციები მომეტებულ ახლად გამოსულ წიგნებს უყურადღებოთ ეკიდებიან და მისი აწონ-დაწონვა არაფრად მიაჩნიათ.

გამოვა რომელიმე ახალი წიგნი, გამომცემელი დაუგზავნის რედაქციებს, იმ მოსაზრებით, რომ რედაქციებმა თავ-თავისი აზრით წარმოსთქვან წიგნის შესახებ; მაგრამ ნუელით ჩვენის რედაქციებისაგან ბიბლიოგრაფიას. მხოლოდ გამოაცხადებენ: რედაქციამ მიიღო (რისთვის მიიღეთ ბბ. რედაქტორნო.) ესა და ეს წიგნი, შეიცავს №№ გვერდს, ღირს №№. მორჩა და გათავდა; ან, ზოგიერთა შემთხვევაში, მიაწერენ: ამ წიგნზე ჩვენს აზრს შემდეგ ვიტყვითო. ეს „ვიტყვით“, რასაკვირველია, უთქმელი რჩება. ხან-დის-ხან მოხდება ხოლმე ისიც, რომ რედაქციის ზოგიერთა თანამშრომელნი გადაშინჯვენ წიგნს, ამოკრებენ რაიმე შეცდომებს და ამითი წიგნს „ქვესკნელს ისვრიან, ანადგურებენ“... როგორ? განა კარგი მხარეები-კი არა აქვს მათ მიერ გაკიცხულ წიგნს?.. როგორ არა, მაგრამ ამის განსახილველად აღარ იცლიან!..

ხშირად ჩვენმა ლიტერატურ—კრიტიკოსებმა რაიმე თხზულების დაფასება დაახლოებით ამგვარის ფრაზებით იციან. მაგალ., რომელიც მოსწონთ, ამ გვარათ გაარჩევენ: მშვენიერი ნაწარმოებია... სწორედ ეხლა-კი დაგვებადა ქართველებს №№ (აქ დაასახელებენ ევროპის რომელისამე მწერლის სახელს). მე როდესაც ვკითხულობდი, აღტაცებაში მოვედი და ჯერაც არ განმშორებია გონებიდან მისი დიადი ღირსება. იმაზედ, რომელიც არ მოსწონთ, იტყვიან: საძაგელი ნაწარმოებია, ნეტა, რათა სცდებოდა ავტორი ამის წერით, ჩვენ ვურჩევთ წერას თავი დაანებოს და სხვ.

ამ ორი ნიმუშიდან სჩანს, თუ რა ნაირად იციან დაფასება რაიმე ნაწარმოებისა ჩვენმა კრიტიკოსებმა; „კარგია“ და „ცუდია“!.. დალოცვილებს ის ავიწყდებათ, რომ ამ გვარად ნაწარმოები „არ დაფასდების“. თუ კარგია, უნდა სთქვა კიდეც: რითია „კარგი“? თუ ცუდია და არ „მოსწონს“ თქვენს გემოვნებას, ესეც უნდა განმარტოთ: რითია „ცუდი“?

სად არის ჩვენს მწერლობაში ბიბლიოგრაფია, პირუთვნელი კრიტიკა, დროული გამოცემების ჩვენი ხალხის კვალში ჩადგომა?...

როგორც ამას წინად ბატ. ივ. გ—ლიმაც შენიშნა, არა გვაქვს ბიბლიოგრაფია, არა გვაქვს კრიტიკაო. დიახ, არა გვაქვს ბიბლიოგრაფია, კრიტიკა, აზროვნული მსჯელობა საგანზე, რომელთა შემწეობითაც აზრდება და ვითარდება ერთის მხრით ლიტერატურა-მწერლობა და მეორეს მხრით—ხალხი, საზოგადოება.

მაგრამ... ჩვენი ჟურნალ-გაზეთნი უფრო სხვა მხრისკენ არიან მიმართულნი. მათი ფურცლები ყოველ დღე, ყოველ კვირა, ყოველ თვე იტვირთება აურიცხველ უშვერის ლანძღვა-გინებით, ხშირად ბაზარში თვით იმა „პოლემიკურ სტატიების“ დამწერებმა რომ გაიგონ, ყურს აარიდებენ, რადგანაც სმენას ეხამუშება. ერთი მაინც არის, კითხულობენ, თუ რას უმოძღვრებს ხალხს მათი საპირადო პოლემიკა? ვითომდა რაო, რა მაგალითს აძლევენ? რა უნდა ვააკეთონ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთო იმათ, რომელთაც გულში ღრმად გასჯდომიათ და ენაზე აკერიათ: „შური“, „მტრობა“, „ბოროტება“, „განცალკევება“*) და სხვ., მაგრამ ვსდუმდეთ, თორემ ჩვენს საგანს გადავცდით.

წიგნების გაუვრცელებლობაში შეცდომა თვით გამომცემლებსაც მიუძღვით. ხშირად ახლად გამოცემულ წიგნს ისეთ დროს ვერ არიგებენ დაბა-სოფლებში, რომ, როდესაც გაზეთებში გამოცხადდება, მკითხველმა პირველს მოკითხვაზედვე მიიღოს, თორემ როცა „დაძველდება“, მერე „გემო“ ეკარგება წიგნს. ერთს, რომელსამე მხარეში გამოცემული წიგნი არამც თუ ორ-სამ თვეში, იქნება მთელის წლის განმავლობაშიაც არ გაიგზავნოს მეორე მხარეში. ეს გარემოებაც დიდი მაზარალებელია.

ბევრჯელ უთქვამთ საყვედური ჩვენს გამომცემლებს, რომ ქართულ წიგნებს გასავალი არა აქვს, არ იყიდებაო. მერე თითო რამდენსა ბეჭდავს. არ იკითხავთ?—600—1200-სა, „ვაი სირცხვილო“, ნუ თუ გამუდმებული, ქართველი მკითხველი 1200 არ მოიპოვება საქართველოში? გა-

---

*) სიტყვები ნახმარია ეხლანდელ ატეხილ პოლემიკებში. ავტ.

მოგონილი?! ან რა მიზეზით დაწყობილი?!. გამიგონია-კი, რომ ყოფილა უწინ, თურმე, ეს ჩვეულება სხვა სოფლებშიაც, მაგრამ ახლა, ამ ჩვენს კუთხეზედ და ან მოშორებით, რომელი სოფლები ან ვიცი და ან გამიგონია, არსად არ არის და აქ როგორღა დარჩა ასე უცვლელად ეს ჩვეულება, სწორედ არ ვიცი!

გარდა ამისა, ერთი გასაოცარი ჩვეულება სცოდნიათ იმერეთის ერთს სოფელში, რომელზედაც თვით მე დავესწარი ივნისის 9-ს. სოფელს ლოდორაში (შორაპნის მაზრა) იციან „ვარდობა“ პეტრე-პავლობის მარხვის დასაწყისის ორშაბათს დღეს, სადაც იკრიბება დიდ ძალი ხალხი. შემდგომ წირვისა გამობძანდა შემოსილი მღვდელი თავის კრებულით ეკკლესიის გარს შემოსავლელად; გამოასვენეს ხატები, ერთი ვერცხლის უდიდესი ჯვარი, რომელიც სიმაღლით იქმნება სამი ადლი და ჩასმული კაკლის ჯვარში, ორი კაცი ძლივას ასწევს. ეს ჯვარი აუცილებლივ უნდა ეჭიროს ხოლმე შემოსვლის დროს მამასახლისს თავისის გზირით. წრეულსაც, რასაკვირველია, ჩვეულებისამებ, ალასრულეს და მამასახლისს თავისი გზირით ეჭირათ გაჭირვებით და მიუძღოდნენ წინ სამღვდელოებას.—ყველა ამათ მიუძღოდა წინ ერთი მებუკე, რომელსაც ხელში ეჭირა სპილენძის საკრავი „ბუკი“, სიგძით ორი ადლი და ბოლო ჰქონდა დიდი რუმბის ვეებერთელა ძაბრივით. ეს კაცი უკრავდა გაუჩერებლივ ამ ბუკს. მებუკეს უკან მისდევდნენ: მამასახლისი ხსენებულის ჯვარით, სამღვდელოება ხატებით, ხალხი ბაირაღებით და ანთებულის სანთლებით, შემოუარეს სამჯერ ეკკლესიას, შემდეგ შემოვლისა ხანგრძლივ აყვირეს ბუკი, ნიშნათ იმისა, რომ სიშვიდე ჩამოვარდნილიყო ხალხში და ადვილათ გაეგონათ ყველა იქ დამსწრეს მღვდლის ჩვეულებრივი ჩამოწყევლა მომყამს აქვე მღვდლის ზოგიერთი სიტყვები: მამანო, დედანო, ძმანო და დანო! ხომ ხედავთ აქანა დასვენებულს ჯვარს, რომელიც არის ნიშანი იმ ჯვარისა, რომელზედაც თვით იესო ქრისტე ბძანდებოდა გაკრული; ჩვენ უნდა გვახსოვდეს ყოველიფერი, ეს ხატები და ჯვარიც არა მარტო დღევანდელ დღეს, რომელსაც ჩვენ ვდღესასწაულობთ, არამედ ყოველ ღვთის გაჩენილს დღეს: უნდა დეიარებოდეთ ყოველ კვირ უქმის დღეებში წირვა-ლოცვაზედ და თაყვანს სცემდეთ უფალსა. ამასთანავე მე, ეს შემოსილი-ნაწირევი მღვდელი ვიწყევლები და დაუგდეთ ყველამ კარგათ ყური, რომ ჩეინერგოთ გულში დ არ გასტეხოთ დღევანდელი ჩვენი ფიცილი: ამ ჯვარის მადლი გოუწყრეს იმ კაცს, რომელმაც დეიზაროს ხოლმე და აიაროს აქანა წირვა-ლოცვაზედ, ამასთანავე, ამოსწყვიტოს ამ ეკკლესიის და ხატების მადლმა, ცოლით შვილით და ყოველივე თვისი მოკეთით, თუ რაიმე ან ღვთის და ან კაცის საზარალო და საწყენი ცოდვები მოიმოქმედოს ვინმემ და ჩქარა არ მოინანიოს ის ცოდვები მღვდელთან აღსარების თქმით; გაუწყვიტოს მოკეთე და გაუმრავლოს მტერი იმ კაცს, რომელსაც შეეძლოს გაჭირვებულის დახმარება და არ უშველოს. მოკლებულ ჰყოს ამ ჯვარის მადლის ძალმა ყოველიფერი საცხოვრებლიდან: მჰადიდან, ღვინიდან, საქონლიდან და სხვ., ვინც კვირა-უქმით ან ხარი და ან ცხენი ამუშავოს“...ხალხიც განუწყვეტლივ «ამინს» იძახდა და აღტაცებით ისმენდნენ მღვდლის სიტყვებს.

ალელი მედავითნე.

⁂ **კახეთი. ბოდბისხევლების გაჭირვება.** ამას წინად მოხსენებული გვქონდა „ცნ. ფურცლის“ მე-166 №-ში, რომ შირაქსა და ალაზანს შუაზედ მინდორი იყიდება, რომელიც ვანო საფაროვსა აქვს იჯარით აღებული. წელს გაზაფხულზედ ქვემო-ქიზიყის ყველა მამასახლისებს ბ. ბოქაულმა განცხადებები დაურიგათ, რომელშიაც აღნიშნულია, ხსენებულის მინდვრის საჯაროთ ვაჭრობა მკათათვის ოცდა თერთმეტში იქმნებაო, და სთხოვს ყველას, ვისაც გსურთ, იყიდეთო. ამ წარსულ მაისის 31-ს, სოფელ ბოდბისხევის მამასახლისსაც დავით ხოსიტაშვილს გარდასცა ეს განცხადება, და თან დასძინა: კარგათ იგულისხმე, რომ ნება ეძლევათ კერძო პირებსაც ვაჭრობისა. აქ ყველამ უწყის, რომ უპირველესად ეს მინდორი ეკუთვნის ბოდბისხევს, როგორც მოსამზღვრეს საინგილო მიჯნაზედ, და თვით იმავე მინდვრის მომიჯნეს ასე, რომ ბოდბისხევის მეტს, არა სოფლის მინდორს არ შეუერთდება. არამც თუ ბოდბისხევისათვის, თვით მთელის ქიზიყისათვისაც სამწუხაროა, თუ კერძო პირებს დარჩათ ეს მინდორი. მაგალითად, აქამდის საფაროვის ხელში ერთობ თათრები იყვნენ დაბუდებულნი დ ქიზიყის ცხვარს, ძროხას და ცხენების ტაცების ბოლო არა ჰქონდა. ყველამ უწყის, რომ შემდეგში უარესს მოელიან, თუ კერძო პირს დარჩა.

იმედია, ბ. მაზრის უფროსი და ადგილობრივი ბოქაული, როგორც საზოგადო საკეთილდღეო მზრუნველნი, წარმოიდგენენ სოფ. ბოდბისხევის უკიდურესს მდგომარეობას და, როგორც მინდვრის უქონლებს, დაგვეხმარებიან და რამე ნაირად დაგვინარჩუნებენ ისედაც ჩვენს საკუთნო და საუფლო მინდორს, რათა სოფლის მტერ-დუშმანთ ხელიდან არ გამოგვაცალონ, თორემ, თქვენი მტერი, თუ ეს მინდორი ხელიდან გამოგვეცალა, ლუკმა-მოსაწვდენი დავრჩებით და მთელის ქიზიყისთვის შესანახი და მეტი ბარგი ვიქნებით.

ი. ოქროშვილი.

მომცემლების აზრით—არა, მაგრამ ჩვენ ვიტყვით, რომ მეტიც მოიპოვება, ხოლო ჩვენ ვერ მიგვიწოდებია ყველასათვის წიგნები. წიგნების დასტამბვის ვახერხებთ და გავრცელებას-კი ვერა. წიგნების დასტამბვა და აკინძვა-კი არ კმარა, საჭიროა მათი ხალხში გატარება და გაგზავნა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, რომ „თესლმა განბნეულმა ნაყოფი გამოიღოს!“...

ყოველს დაბასა და მოზრდილს სოფლებში, როგორ უნდა მოხდეს, რომ 10—30 ახალი წიგნი არ გაიყიდოს, სადაც არსებობენ სკოლები, ბიბლიოთეკები, დუქნები (თითქმის ყველგან), რომელნიც, რომ იკისრებდნენ წიგნების ყიდვა-გავრცელებას, თვითონაც სარგებლობას (მანათზე 20—40 პროცენტს მაინც) ნახვენ, ხალხსაც ასარგებლებენ და წიგნების გავრცელებასაც ხელს შეუწყობენ. ვალდებულია ყველა ის, ვისაც-კი ჰსურს სამშობლო ქვეყნის წარმატება, ხელი შეუწყოს წმიდა საქმეს—წიგნების გავრცელებას. „თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევა“, ამბობს ანდაზა; დიახაც, თუ-კი მოისურვებენ ჩვენის სოფლის შეგნებულნი, თუ-კი ისინი ხალხს, როგორც სიტყვით, აგრეთვე საქმითაც, ემსახურებიან, მაშინ ყოველ მიზეზთა დაუბრკოლებლივ საქმე გაკეთდება...

ჩვენის ხალხის წინ-მსვლელობის და წარმატების მსურველნო, იქონიეთ, არა ფორმალური, არამედ ზნეობრივი კავშირი ხალხთან, იქონიეთ კავშირი ყოველს გამომცემლებთან, გამოიცეს რაიმე წიგნი თუ არა, დაიბარეთ, რამდენის გაყიდვის იმედიცა გქონდეთ, გაჰყიდეთ, თქვენის შრომის ფასი აიღეთ და კუთვნილი დაუბრუნეთ გამომცემელს. ამგვარის მოქმედებით თქვენ ბევრს კეთილს სჩადიხართ. ეხმარებით წიგნების გავრცელების საქმეს, ეხმარებით და საშუალებას აძლევთ გამომცემელს, რომელიც მის შემდეგ სხვა წიგნს გამოსცემს.

ჩვენი საზოგადოება, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, ორ მხარედ არის გაყოფილი. ერთი მხარეა, რომელიც სამშობლო ლიტერატურაში „არასფერს“ ჰხედავს და მის თვალყურის დევნას—„უბრალოდ დროს დაკარგვად“ რაცხს, და მეორე მხარე, რომელიც სამშობლო ლიტერატურას ეწაფება. ეს, მეორე მხარე, უფრო დაბალის წოდების და ხელმოკლეთა შვილები არიან (მოსწავლეები, ხელოსნები და სხვ). ამათ ვერ მოუხერხებიათ შეიძინონ ერთმანათიანი, ორ მანათიანი და სამ მანათიანი ტომები. ერთ აბაზიანი და ათ შაურიან ფასზე აცდენილი წიგნები მათთვის თითქმის მიუწდომელი ხდება. ეს იმითაც დამტკიცდა, რომ ძვირად დაბეჭდილი წიგნები (თუმცა იგინი ყოველ ქართველ მწიგნობრობის მოყვარულისთვის დიდს სატრფიალოს შეადგენს) ისევ ისე, გაუყიდავი, გამომცემლების სარდაფში აწყვია და იაფად გამოცემული წიგნები-კი მესამედ და მეოთხედ იბეჭდებიან. ამ შემთხვევაში, იაფ ფასიანის წიგნების გამომცემელი უფრო მოგებაშია, რადგანაც შაურად რომ წიგნი დაუჯდა, ორ შაურად გაჰყიდა; ეს ფული მესამედ-მეოთხედ გადააბრუნა, ხოლო იმის წიგნები, ვისაც შაური დაუჯდა—ექვსი შაური ფასი დაადო, აბაზი—ერთი მანათი, ისევ ისე გაუსყიდავი ულაგია და, რასაკვირველია, ზარალშიაც არის. (ჩვენ აქ შედარებით ფასებზე ვლაპარაკობთ).

მაშ, ჩვენს გამომცემლებს უნდა ვურჩიოთ, რაც შეიძლება, წიგნები იაფ ფასად გამოსცენ, რომ ხალხს ხელი მიუწვდეს...

ი. იმ—დ—ი.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული“

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში).
იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.

ქუთაისში: ბექანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლალიძესთან.
ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან და დოქტორ ვოლსკისთან.
ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან და იაკობ ფანცხავასთან.
ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში“.
საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.
ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.
ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
წიფაში: კირილე ხარაძესთან.
ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადეშქელიანთან.
სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან და სამ. ყიფიანთან.
ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.
განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლ. დოლიძესთან.
ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.
კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან.
ხონში: ივანე შარაშიძესთან.
გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ იდლურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.
თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.
სიღნაღში: დ. მაჩხანელთან დეპოში დ თ. დ. ჩოლოყაშვილთან.
ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.
ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.
ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.
მოლითში: პავლე გურცხალიასთან.
ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—7) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი**.

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული
ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი
„**ქართველთა ტომი**“ ასამდე სურათით
და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს
5 მანათად.
ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Іюня 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.